საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

გადასახადები

საქართველო და მსოფლიო



ივნისი, 2016

გადასახადების სტრუქტურა საქართველოში

2015 წლის მდგომარეობით, საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლები ძირითადად საქონელსა და მომსახურებაზე გადასახადს ეყრდნობა, რომელიც მთლიანი საგადასახადო შემოსავლების თითქმის ნახევარია, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების მესამედს უტოლდება.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს:



2015 წელს ბიუჯეტში მიღებული დღგ-ის უდიდესი წილი თბილისზე მოდის (82%). მას მოჰყვება ბათუმის (9%), ფოთისა (3%) და რუსთავის (2%) რეგიონული ცენტრები. მოგების გადასახადის მიხედვითაც თბილისი ლიდერობს რეგიონებს შორის. მოგების გადასახადის 88% თბილისში რეგისტრირებულ გადამხდელებზე მოდის.

გრაფიკი 1. საქართველოში მოქმედი საგადასახადო განაკვეთები



საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა საქართველოში 2002-2016



* წინასწარი შეფასება

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად 2016 წლის 1 იანვრიდან 100%-ით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტების შემოსავლებში ჩაირიცხება:

საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან;

არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან);

საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან;

საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან;

საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან;

საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

2015 წელს ამ კატეგორიების მიხედვით მიღებული შემოსავალი 290 მლნ. ლარს აღემატებოდა. თუმცა ეს მთლიანი საშემოსავლო გადასახადის მხოლოდ 13%-ია.

ამჟამად პარლამენტი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესატან ცვლილებებს განიხილავს, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტები ვალდებულნი იქნებიან გაზრდილი ფინანასური სახსრები მხოლოდ კაპიტალურ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯონ. ამით თავიდან იქნება აცილებული მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა. თუმცა, დამტკიცების შემთხვევაში, ეს შეზღუდვა მხოლოდ 2021 წლის 1 იანვრამდე იმოქმედებს.

გრაფიკი 2. 2015 წელს ბიუჯეტში შემოსული გადასახადები

მოგების გადასახადი

- 53% გადაიხადა მსხვილმა ბიზნესმა
- 3% გადაიხადა უცხოურმა საწარმომ

იმპორტირებულ პროდუქციაზე გადახდილია

- 47% დამატებითი ღირებულების გადასახადის
- 75% აქციზის

საშემოსავლო გადასახადის **83%** დაქირავებით მომუშავეთა ხელფასებიდან დაკავებული თანხაა

ეს კატეგორია არ შედის მუნიციპალიტეტის მიერ მისაღებ საშემოსავლო გადასახადის სახეებში

2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით სულ

7 549 608 915 ლარი შემოვიდა



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა, შემოსავლების სამსახური

Paying Taxes 2016

Paying Taxes არის მსოფლიო ბანკისა და PwC-ის[1] ერთობლივი კვლევა, რომელიც ყოველწლიურად გამოიცემა. 2016 წლის გამოცემა ეყრდნობა 2014 წლის მონაცემებს და მსოფლიოს მასშტაბით მოიცავს 189 ეკონომიკის საგადასახადო სისტემას. გადასახადის გადახდის სიმარტივით საქართველო მე-40 ადგილს იკავებს. საგადასახადო სისტემის შეფასება ხდება 3 კრიტერიუმის მიხედვით. ესენია:

გადასახადების რაოდენობა, რომელთა გადახდაც კომპანიას უწევს

საათების რაოდენობა, რომელიც საშუალოდ კომპანიას ეხარჯება გადასახადების გადახდაში წლის განმავლობაში

მთლიანი საგადასახადო განაკვეთი, რომელიც გვიჩვენებს კომერციული მოგების რა წილს შეადგენს კომპანიის მიერ გადახდილი მთლიანი გადასახადები

გრაფიკი 3. Paying Taxes 2016 კვლევის შედეგები

2014 წელს კომპანიამ საშუალოდ

მსოფლიოში

- ↓61 დახარჯა **261** საათი გადასახადების გადასახდელად
- ↓8.2 განახორციელა **25.6** გადახდის ოპერაცია
- გადასახადების სახით გადაიხადა თავისი კომერციული მოგების **40.8%**

საქართველოში

- ↓86 დახარჯა **362** საათი გადასახადების გადასახდელად
- ↓41 განახორციელა **5** გადახდა
- გადაიხადა თავისი კომერციული მოგების **16.4%**. აქედან **14.3%** მოგების გადასახადზე

ცვლილება 2004 წელთან შედარებით



წყარო: Paying Taxes 2016

1 PricewaterhouseCoopers

გრაფიკი 4. Paying Taxes 2016 - რეგიონის ქვეყნები



წყარო: Paying Taxes 2016

გადასახადები მსოფლიოში

გრაფიკი 5. საგადასახადო განაკვეთები რეგიონში 2015 წელს



წყარო: KPMG, ICAEW

გრაფიკი 6. კორპორატიული გადასახადების საშუალო ზედაზღვრული განაკვეთი, 2015 წელი



წყარო: Taxfoundation, KPMG

კორპორატიული გადასახადების დონე მნიშვნელოვნად ვარირებს მსოფლიოში. რეგიონების მიხედვით ყველაზე დაბალი საშუალო კორპორატიული გადასახადების დონე ევროპაშია (18.7%), ყველაზე მაღალი კი აფრიკაში (28.8%). მსოფლიო საშუალო დონე 2006 წლის შემდეგ 4.5% პროცენტული პუნქტით არის შემცირებული. აღსანიშნავია, რომ დიდ, მეტად ინდუსტრიულ ქვეყნებს უფრო მაღალი კორპორატიული გადასახადები აქვთ ვიდრე მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელია (G7, OECD, G20)[2].

2 G7 - კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, გაერთიანებული სამეფო და აშშ.
G20 - არგენტინა, ავსტრალია, აშშ, კანადა, ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ინდოეთი, ინდონეზია, იტალია, იაპონია, მექსიკა, რუსეთი, საუდის არაბეთი, სამხრეთ აფრიკა, სამხრეთ კორეა, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო.

ბიბლიოგრაფია

კანონპროექტი. „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ.“
საქართველოს კანონი. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.“
საქართველოს კანონი. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი.“
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. www.mof.gov.ge
საქართველოს ფინან„სთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა. www.treasury.gov.ge
შემოსავლების სამსახური. www.rs.ge
PricewaterhouseCoopers, The World Bank Group. Paying Taxes 2016.
Tax Foundation. Corporate Income Tax Rates around the World. 2015.

წინამდებარე გამოცემა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და არ ემსახურება საკონსულტაციო მიზნებს.
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი გამოცემაში მითითებული წყაროების მონაცემების სიზუსტეზე.

ეკონომისტი: ნათია ბანცური | პროექტის ხელმძღვანელი: ირინა კვახაძე
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
მისამართი: გ. ლეონიძის ქ. №2 | ტელეფონი: 995 32 2202215 | ელ.ფოსტა: info@bag.ge
www.facebook.com/BusinessAssociationofGeorgia
www.bag.ge